

სამოციქულო საკითხავი

22 სექტემბერი 2019წ.

ქადაგება

(მე-2ე კორ. 1:21, 2:1-4)

რომ გავიგოთ თუ რაზე საუბრობს წმ. პავლე დღევანდელ მიმართვაში, უნდა გავიხსენოთ, რომ თავის წინა მიმართვაში კორინთელთა მიმართ წმ. მოციქული მკაცრად გამოხატა ამ საზოგადოების ქრისტიანებს მათი ამორალური ქცევების გამო. საბოლოო ჯამში კორინთელებმა მოინანიეს და ამათ განაპირობა დაეწერა მეორე მიმართვა კორინთელებისადმი, სადაც მან სულიერად ანუგეშა და დამოძღვრა ისინი.

მიმართვის ნაწყვეტებს, რომელსაც დღეს ჩვენ ვკითხულობთ, იწვევს აღფრთოვანებას იმ ღრმა და გულწრფელი ზრუნვის გამო, რომელსაც დიდი მოციქული განიცდიდა თავისი სულიერი შვილების მიმართ. მოციქული პავლე მწვავედ განიცდიდა მათ უარს გაჰყოლოდნენ სახარებას და წმ.

სამართლიანობით გაუმკლავდა სიტუაციას, გადაწყვიტა კითხვები, რომელიც აღელვებდა კორინთელთა ეკლესიას.

პირველი რასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება ამ მიმართვაში, - ეს გულწრფელი ზრუნვა მოციქული პავლესი იმათ მიმართ, ვინც შესცოდა და დაეცა; მისწრაფება დაეხმაროს მათ ჭეშმარიტების გზაზე დასაბრუნებლად. წმ. პავლე ხედავდა და აცნობიერებდა პრობლემების სერიოზულობას, რომელიც კორინთელების ეკლესიაში არსებობდა. მან მკვეთრი ზომები მიიღო უთანხმოებებთან საბრძოლველად, რომელიც არსებობდა კორინთელებში, და მაშინ დამნაშავეებმა შესძლეს გაეთვითცნობიერებინათ მათ მიერ ჩადენილი სერიოზული ცოდვები და ეღიარებინათ. ამ გზით მათ შესძლეს დაბრუნებულიყვნენ ეკლესიის წიაღში, და სულიერი განკურნება მოხდა დროულად.

მოცემულ სიტუაციაში მოციქული პავლე გვაძლევს მაგალითს, თუ როგორ უნდა მოვექცეთ იმ ადამიანებს, რომლებიც ცოდავენ ეკლესიაში, საქვეყნოდ, სახლში, ოჯახში და სულიერი მოძღვარი ეკლესიაში და ოჯახის უფროსი - ორივენი პასუხს აგებენ იმაზე, რომ ცოდვები აღიაროს, და არა გულგრილად მონაწილეობენ იმათ სულიერ მკურნალობაში, ვინც შეურაცყოფს სხვა ადამიანებს და საფრთხეს უქმნის მათ სულების თავისი ცოდვებით.

შემდეგი, რასაც გვასწავლის ჩვენ მიმართვა - ეს სხვა ადამიანებთან ურთიერთობაა, ის ღრმა ტკივილი, რომლითაც მოციქული პავლე მიმართავს იმათ, ვინც გზას ასცდა. ის სწერს კორინთელებს: „მრავლისაგან მწუხარებისა და შეურვებულისა გულისა მივწერე თქვენდა მრავლითა ცრემლითა, არა რათა შესწუხნეთ, არამედ რათა სცნათ სიყუარული იგი გადარეული, რომელი მაქუს თქვენდა მიმართ" (2:4). სიყვარული - ეს ერთადერთი და გამოცდილი გზაა პრობლემების მოსაგვარებლად. მრისხანების დროს, ყვირილით ან შეურაცყოფით შუძლებელია გამოვასწოროთ არცერთი სიტუაცია. რაც არ უნდა გავაკეთოთ გამოსასწორებლად, ეს სიყვარულით უნდა გავაკეთოთ. სხვა ადამიანს უნდა ესმოდეს ჩვენი ტანჯვა და გუკის ტკივილი არა ჩვენთვის, არამედ მისთვის, ცოდვილი ადამიანი უნდა მიხვდეს, რომ ჩვენ ვტირით ბოროტების გამო, რომელიც მას შეემთხვა. ჩვენ ვესაუბრებით მას არა იმიტომ, რომ განვიცდით იმას, თუ რას უკეთებს ცოდვა მას. ჩვენ ვეძებთ მის აღსარებასა და განკურნებას მხოლოდ სიყვარულითა და ყურადღებით. სხვა გზა არ არსებობს! და ბოლოს, ჩვენ აღფრთოვანებით შეგვიძლია ვთქვათ, როგორი წინადადებებით უდგება საკითხების გადაწყვეტილებას წმ. მოციქული პავლე,

დაკავშირებულს ხალხის ცოდვებთან. წმ. მამების აზრით, წინდახედულმა - ეს სული წმინდის ნიჭია, რომელიც გადმოდის და განგვანათლებს ჩვენ ყოველ მოცემულ შემთხვევაში ვიმოქმედოთ ღვთის ნების მიხედვით, ზომიერების დაცვით, გაზვიადების გარეშე. სწორედ ასე მიმართა წმ. მოციქულმა კორინთელებს. როდესაც მან გაუგზავნა თავისი პირველი მიმართვა, მას ესმოდა, რომ ისინი ღრმად განიცდიდნენ, როდესაც წაიკითხავდნენ მის მამხილებელ სიტყვას. ის ნერვიულობდა კორინთელებზე და უნდოდა მოენახულებინა ისინი, მაგრამ იცოდა, რომ არ შეეძლო მისულიყო მათთან ასეთ სიტუაციაში. მათი ტკივილი და განცდა მხოლოდ გააძლიერებთ, და თუ მათ შორის პავლე მოციქული იქნებოდა. ამიტომ მან გადადო თავისი ვიზიტი, განმარტა, რომ „გერიდებოდე თქვენ და მისთვის არღარა მოვიდ კორინთედ" (1:23). „ და ასე ვსაჯე თავისა ჩემისა, რათა არა კუალად მწუხარებით მოვიდე თქვენდა"(2:1). სიშორის მიუხედავად იგი არ წყვეტდა ნერვიულობას მათზე და მოთმინებითა და ლოცვით ელოდა, როცა სიტუაცია მოგვარდებოდა.

წინდახედულობა დიდი მოციქულისა ჩვენ ბევრ რამეს გვასწავლის. ჩვენ შეიძლება მივაყენოთ დიდი სულიერი იარა, როდესაც გვინდა წარვმართოთ და

გამოვასწოროთ ახლობელი მოთხოვნით მყისიერად
მოინანიოს. ჩვენ სხვებს ვაჩქარებთ, ვაიძულებთ ისე
იმოქმედოს, როგორც ჩვენ ვეუბნებით. ასეთი
გამჭრიახოვითა და გონივრულობით ჩვენი მხრიდან ვერ
მივიყვანთ ადამიანს მონანიებამდე, პირიქით ხელს
ვაკვრევინებთ მას ამ განძრახვისადმი.

ჩემო ძვირფასო ძმებო და დებო, ჩვენ დროში
ვუხელმძღვანელოთ სხვა ადამიანებს - ეს ძალიან ძნელი
საქმეა. დღეს ადამიანებს არ აქვთ პასუხისმგებლობა
თავიანთი სიტყვისა და საქმის მიმართ. ჩვენ მოწმეები
ვართ სულიერი ღირებულებების დაცემისა, როცა
უპატივცემულო დამოკიდებულება მშობლებისადმი,
მასწავლებლებისადმი და სულიერი მოძღვრებისადმი
ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. რომ ვიმოქმედოთ
კეთილად, თითოეულმა ჩვენგანმა უნდა მიბაძოს წმ
პავლე მოციქულის მაგალითს. და მოვიქცეთ
თავდაუზოგავი სიყვარულით ჩვენს გარშემომყოფებს.
ვიზრუნოთ და ვიფიქროთ ახლობელ ადამიანებზე
გულწრფელად - ცრემლებამდე, სულიერ ტკივილამდე
სხვა ადამიანების გამო. კეთილგონიერება და
წინდახედულება სასწაულებს მოახდენს ღვთის
წყალობით. და იყოს ასე!